



შირაკი

SHIRAKI

№ 16 (10.171)

17-24 მაისი 2025 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველკვირაული გაზეთი * გაშვების 1937 წლიდან * ფასი: 60 თეთრი

წიგნი, როგორც განათლების წყარო

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, საინტერესო ღონისძიება ჩატარდა დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. „რა წავიკითხე ბოლოს“-ასე ერქვა საღამოს, რომელიც სალონურ ხასიათს ატარებდა. „წიგნის კითხვა ჩემთვის ძალიან ინტიმური პროცესია“-თქვა თავის გამოსვლაში დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელმა გიორგი ნატროშვილმა. მან ვრცლად ისაუბრა მწერლობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შესახებ და აღნიშნა, რომ ბედნიერი ადამიანია, რადგან დღემდე აქვს მწერლებთან და წიგნებთან ცოცხალი ურთიერთობის შესაძლებლობა.

„მინდა გითხრათ, რომ შეიძლება, შორიდან ჩვენი საქმიანობა სხვისი თვალისთვის იოლ პროფესიებს განეკუთვნება, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ასე არაა. ჩვენ საკმაოდ საჭირო და საპატიო საქმეს ვემსახურებით. განსაკუთრებით ასე განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც წიგნი კომპიუტერთი ჩანაცვლდა. მე არ მეგულება არცერთი სწავლული ადამიანი, რომელიც წიგნის გარეშე განვითარებულიყოს. ჩვენი ყოველდღიურობა სამსახურში მოსვლის დღიდან უკავშირდება წიგნს, მკითხველს. გვიხარია ლამაზი, მონუსერიგებულ გარემოში მკითხველთა მომსახურება.“

ღადო ასათიანი ამბობს: „ბევრი წიგნი მაქვს ნანახი, ბევრჯერ მიგვრძნია ალფრედო ვანეზა, ზოგში მომწონდა იგავ-არაკი, ზოგში-მარტო დენ ხელოვანება“-ო. წიგნი ისეთია, თავის მეგობრად გაქცევს, ათას ვინმეს გაგაცნობს, შეგაყვარებს, ცხოვრებას გასწავლის, აესა და კარგს გაგარჩევინებს, გონების, სულის ინჟინერია. ათეულობით წელია, ჩვენ ამ საქმეს დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ვემსახურებით“-ამ სიტყვებით გახსნა ღონისძიება დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა.

ბიბლიოთეკარებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაასახელეს ბოლოს წაკითხული წიგნები და მოკლედ მიმოიხილეს ისინი. შეხვედრაზე საუბარი შეეხო თანამედროვეობაში არსებულ პრობლემას, კერძოდ, წიგნის ჩანაცვლებას კომპიუტერთი, რამაც ახალგაზრდა თაობაში წერა-კითხვის უნარ-ჩვევების გაუარესება გამოიწვია. წიგნის სიყვარული ბავშვობიდან იწყება, ამიტომ მშობელი, სკოლა და საზოგადოება ერთად უნდა ჩაერთოს



პროცესში, რათა მომავალი თაობა დაუბრუნდეს წიგნს. გაუნათლებელი თაობა ქვეყნის მართვის სადავეებს ვერ ჩაიბარებს და ვერ იქნება იმისი გარანტი, რომ საქართველოს ბედნიერ მომავალს შექმნის.

ჩვენი ქვეყნის ისტორია გვიყვება, თუ როგორი განათლება ჰქონდა მიღებული საუკეთესო სტრატეგსა და მთავარსარდალს დავით აღმაშენებელს და როგორ უყვარდა წიგნი - სალაშქროდ მიმავალს უკან წიგნებით დატვირთული ურემი მიჰყვებოდა. ერის წიგნიერებაზე ზრუნვის მოტივით შენდებოდა გელათის აკადემია, იყალთოს აკადემია...

დრო შეიცვალა, ერთი შეხედვით, წიგნი კომპიუტერზე ჩანაცვალა, მაგრამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა სხვა პრობლემები წარმოიშვა - წიგნის სიყვარული „გაჯატიბისადმი“ დამოკიდებულებამ შეცვალა და მივიღეთ გაცივებული ურთიერთობები, ასოციალური ახალგაზრდები, რომელთაც ეზინათ აუდიტორიის წინაშე გამოსვლის და არ იცნან, როგორ მოიქცნან საზოგადოებაში თაყვანის აღიქვამში, როგორ ურთიერთობონ ერთმანეთს ინტარნეტ სივრცის მიღმა.

წიგნის კითხვისას ადამიანი სხვანაირ აღმაფრენას განიცდი, ზოგჯერ შენ თვითონვე ხარ წიგნის რომელიმე პერსონაჟი, ან ისე მოგზაურობ სამყაროს ნებისმიერ კონტინენტზე, რომ არა მხოლოდ იქაურ პეიზაჟებს ხედავ, არამედ იქაურ მოსახლეობასაც და ტრადიციებსაც, წიგნის კითხვა ფანტაზიის

უნარსაც გივითარებს და ცხოვრებისეულ გაკვეთილებსაც გიტარებს.

„ჩვენთან, ბიბლიოთეკაში ბევრი ახალგაზრდა დადის და ერთგული მკითხველებიც გვყავს, მაგრამ მათ აფიშირება არ უყვართ, არც საკუთარი ცოდნის და არც საქმიანობის“-ამბობენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები და იქვე კითხვასაც სვამენ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბავშვებმა ერთმანეთთან საუბარი ისწავლონ, წაკითხულის გააზრება და წაკითხული ნაწარმოებებით მიღებული შთაბეჭდილების ერთმანეთისთვის გაზიარება შეძლონ?-ეს კომპლექსური პრობლემაა და ამისთვის რამდენიმე რგოლის ჩართულობა აუცილებელი“- უპასუხა ფსიქოლოგმა ბესარიონ გიგოლაშვილმა, რომელმაც ბავშვებთან ურთიერთობის საკითხებში მზაობა საჯაროდ გამოთქვა.

ღონისძიების დასასრულს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა დოდო ხუნაშვილმა კულტურისა და განათლების სფეროში შეტანილი წვლილისათვის ბიბლიოთეკარები სიგელებით დააჯილდოვა, მონაწილეებმა კი „სამახსოვრო ხეზე“ ბოლოს წაკითხული წიგნები ჩაწერეს.

პირველი ქართული ბეჭდური წიგნი 1629 წელს გამოიცა, მაგრამ არა საქართველოში, არამედ იტალიაში, კერძოდ რომში. ეს ფაქტი გარკვეული ისტორიული ვითარებით იყო გამოწვეული. XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს შაჰ-აბას I

შემოესია. ქართლის მეფე თეიმურაზ I-მა დასახმარებლად მეზობელ ქრისტიანულ ქვეყანას, რუსეთს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. თეიმურაზს ერთადერთი გზა რჩებოდა - ევროპასთან პოლიტიკური კავშირის დამყარება. ამ მიზნით მეფემ ესპანეთსა და იტალიაში ელჩად გაგზავნა თავისი კარის მოძღვარი ნიკიფორე ირბახი, იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი.

რომში გამოცემულ პირველ ქართულ წიგნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში. XIX საუკუნემდე ეს წიგნები იყო ერთადერთი წყარო, რომლის საშუალებითაც დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წიგნები ეცნობოდნენ ქართულ ენას. გარდა ამისა, მათი გამოქვეყნებით ქართველებმა სცადეს გაერღვიათ მტრული მუსულმანური გარემოცვა და აღედგინათ კავშირი დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის რომში გამოსვლიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ქართველ მეფეებს არ შეუწყვეტიათ ფიქრი ქართული სტამბის საქართველოს ტერიტორიაზე დაარსების შესახებ. ეს იყო ქართლის მეფის, არჩილის დიდი ხნის ოცნება. იგი თავად იყო პოეტი, მწიგნობარი და კარგად ესმოდა ქართული სტამბის არსებობის საჭიროება. იმ დროს შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო არჩილმა თავისი განზრახვა საქართველოში ვერ განახორციელა. იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა

/გაგრძელება გვ./

სამუხის ველზე ქურციკების ახალი თაობა დაიბადა

ვაშლივანის დაცულ ტერიტორიებზე დაბადებული პატარა ლიკლიკები კამერის წინ ჯერ-ჯერობით არ ჩნდებიან. ისინი დაბადებიდან 2-3 კვირის განმავლობაში, ძალიან რთული საპოვნელია, საიმედოდ იმალებიან ბალახში და სამალავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, სწრაფი ნახტომებით ტოვებენ.

ქურციკის გამრავლების აქტიური პერიოდთან გამომდინარე, 2025 წლის 10 ივნისამდე სამუხის ველზე ვიზიტორთა გადაადგილება შეიზღუდება.

შეზღუდვა მიზნად ისახავს პატარა ლიკლიკების უსაფრთხოების უზრუნველ-

ყოფას და მოსალოდნელი სტრესის მინიმუმამდე შემცირებას.

ქურციკის, იგივე ჯეირნის აღდგენის პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ინიციატივით, გერმანიის მთავრობის (KfW) ფინანსური მხარდაჭერითა და აზერბაიჯანის მთავრობის აქტიური ჩართულობით წარმატებით ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. დღეისათვის მათი რაოდენობა 450-ს აჭარბებს. საწყის ეტაპზე ვოლიერებში გაზრდის მეთოდმა არ გაამართლა, ამიტომ ქურციკები ამჟერად ღიად გაუშვეს.



გუბერნატორი მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა, მუნიციპალიტეტების მერებთან რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა კახეთის რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმილ ვადებში შესრულების მნიშვნელობაზე. საუბარი ასევე შეეხო სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და მთის ფონდით გათვალისწინებულ პროექტებს.



სპორტისა და მეგობრობის ტურნირი!

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში ჩატარდა შიდასაკოლო მინი-ფეხბურთის ორდღიანი - ნამდვილი დღე-სასწაული სპორტისა და მეგობრობის ტურნირი! ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ სპორტის მასწავლებელი გურამ ტარტარაშვილი და ისტორიის მასწავლებელი ფრიდონ საკანელაშვილი.

ტურნირის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტისადმი მოზარდთა ინტერესის წახალისება და გუნდურობაზე, თანაგუნდელობასა და პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული უნარების განვითარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსწავლეთა ფიზიკური და სოციალური უნარების გაძლიერებას - ის უნარები, რომლებიც სპორტის მეშვეობით განსაკუთრებით ეფექტურად ყალიბდება.

ტურნირი ჩატარდა ორ ეტაპად: პირველ დღეს შეჯიბრებაში ჩაერთნენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, ხოლო მეორე დღეს - საბაზო და საშუალო საფეხურის გუნდები. თამაშებს თან სდევდა ჟინი, სიხარული და გულშემატკივრობა, რაც კიდევ უფრო ამაღლებდა საერთო განწყობას. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სპორტი მხოლოდ ფიზიკური აქტივობა კი არა, არამედ ერთიანობის, მეგობრობისა და ღირსეული შეჯიბრის სიმბოლოა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სრულიად სასკოლო საზოგადოება: სკოლის დირექტორი ეკატერინე ჩიტაური, დირექტორის მოადგილე ელენე გრიგორიადისი, მოსწავლეები, მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და სკოლის სხვა თანამშრომლები.

ღონისძიების შედეგები არ შემოიფარგლა მხოლოდ გამარჯვებული გუნდებისა და ინდივიდუალური ტიტულების გამოვლენით - ეს იყო ორი დაუფინყარი დღე, სავსე სიხარულით, გუნდური სულისკვეთებითა და დადებითი ემოციებით. ტურნირმა კიდევ უფრო გააძლიერა სკოლაში არსებული მეგობრული და შემოქმედებითი გარემო.

ღონისძიების დასასრულს გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ I, II და III ადგილის დიპლომები. ყველა მონაწილემ მიიღო სიგელი მონაწილეობისთვის. გამოვლინდა საუკეთესო მეკარე და ბომბარდირი - როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში.

სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს და მონაწილე მოსწავლეებს გამარჯვება მიულოცა. მან აქტიური ჩართულობისა და წარმატებული ორგანიზებისთვის მადლობის სიგელები გადასცა ორგანიზატორებს.



განსახილველ თემებს შორის იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები, ასევე სოციალურ-ეკონომიკური პროექტები, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის მხარდასაჭერად ხორციელდება.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - პლატონ კალამაშელიძე, გივი მეტრეველი და ლევან ლილუაშვილი ესწრებოდნენ.

საშუალო საფეხურის გამარჯვებულები:

- I ადგილი — X კლასი
- II ადგილი — VIII კლასი
- II ადგილი — VII კლასი

დაწყებითი საფეხურის გამარჯვებულები:

- I ადგილი — III კლასი
- II ადგილი — II კლასი
- III ადგილი — IV კლასი

საუკეთესო ომგარდირები (საშუალო საფეხური):

- ნიკა გოჭოშვილი (X კლასი)
- ნიკოლოზ სარდალაშვილი (X კლასი)

საუკეთესო მეკარე (საშუალო საფეხური):

- გიორგი ბოლქვაძე (X კლასი)

საუკეთესო მეკარე (დაწყებითი საფეხური):

- სურმანიძე მანუჩარი (III კლასი)
- საუკეთესო ბომბარდირი:
- საბა დიმიტრაძე (III კლასი)

გოგონების ტურნირის გამარჯვებულები:

- I ადგილი — IV კლასი
- II ადგილი — VI კლასი
- III ადგილი — V კლასი

გოგონებში საუკეთესო მეკარე:

- ქვაჭრელიშვილი ლიზი (IV კლასი)
- საუკეთესო გოლის ავტორი:
- სურმანიძე მანუ (IV კლასი)

მოთამაშეთა მართვასთან ერთად ორგანიზატორები ასრულებდნენ მსაჯის ფუნქციასაც. თამაშების პროცესში მათ აქტიურად ეხმარებოდნენ სკოლის მოსწავლეები:

- ალუდა თავოშვილი (XI კლასი)
- ნიკოლოზ სარდალაშვილი (X კლასი)

ტურნირის შედეგებს აწვდის მისი მოსწავლეებისა და მასწავლებლების კომპლექსური განვითარებაში. ისინი ახალგაზრდებს მომავალშიც მოუწოდებენ, აქტიურად ჩაერთონ სპორტულ ცხოვრებაში, რადგან სპორტი აყალიბებს მათ როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად გამართულ პიროვნებად - ჯანმრთელი და წარმატებული მომავლისათვის.

ეს ტურნირი გახდა კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ერთიანობით, მეგობრობითა და სპორტული სულით შესაძლებელია დიდ მიზნებთან მისვლა!

შეხვედრა სოფლის რწმუნებულებთან



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადმინისტრაციულ ერთეულებთან შეხვედრაში მონაწილეობდა.

შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა და სოფლების ხელმძღვანელებს სამუშაოების მონიტორინგის პროცესში მეტი

ჩართულობისკენ მოუწოდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ გამოწვევებზე დეტალური ინფორმაცია მოისმინა და მათი გადაჭრის გზები განიხილა. მერიაში გამართულ სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილეები-გელა სამუკაშვილი და მალხაზ მერაბიშვილი ესწრებოდნენ.

მოდის, ვითამაშოთ გამოცნობა

სახალისო გამოცანები, ქართული ანდაზები, საინტერესო კითხვებზე სწრაფი პასუხები, გუნდური მუშაობა, სწორი პასუხის შემთხვევაში სიხარულის ყიჟინა-ეს სწორედ, „გამოცნობა“ პროცესს ახლდა თან. გამოცნობა, რომელიც არამარტო პატარებისთვის, უფროსი თაობისთვისაც სახალისო აღმოჩნდა.

სახალისო ვიქტორინის იდეის ავტორი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და ამავე ორგანიზაციის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი, თამარ აბულაძე გახლდათ, რომელმაც საზოგადოებას 16 მაისს სახალისო გამოცანების სამყაროში ამოგზავნა პატარა თუ დიდი მეგობრები.



- *იოვანე ბეგიაშვილი;
- *ცოტნე მარტყოფიშვილი;
- *დემეტრე ლორაქუდაშვილი;
- *ცოტნე ნაროზაშვილი;
- *ანანო ჯანაშვილი;
- *ბექა ხოხობაშვილი;
- *ნიკოლოზ იაკობიშვილი;

ვიქტორინის გამარჯვებული 20 ქულით მეოთხე „ბ“ კლასის გუნდი „დიდგონიერთა რაზმი გახდა“, რომლებსაც სიგელებთან ერთად დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა დოდო ხუნაშვილმა მცირედი საჩუქრები გადასცა. გარდა ამისა, ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილეობის სიგელი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი პრესა და მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც აქტიურად გულშემატკივრობდნენ თითოეულ გუნდს.

შეხვედრის დასასრულს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს საინტერესო, სახალისო და შემეცნებითი შეხვედრის ჩატარებისთვის, პატარა მოაზროვნეებს ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობის დადებით მხარეებზე ესაუბრა და ურჩია, აქტიურად ჩართულიყვნენ მსგავსი ტიპის აქტივობებში. სწორედ ამ მიზნით, ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ახალგაზრდულ საკითხებში ლელა ბილაშვილმა, სამომავლოდ, ისინი დიდ ლიგაში სათანამოდ მიიწვია და წარმატებები უსურვა მათ.

გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელს თამარ ლაპაშვილს და ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელს თამარ აბულაძეს მორიგი საინტერესო და შემეცნებითი ღონისძიების ჩატარებისთვის. წარმატებებს უსურვებს მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში. ვფიქრობთ, რომ მომავალი სწორედ ამ გონებასხარტ და ჭკვიან პატარებს ეკუთვნის.

შუშუნა ყანაშვილი

მეწარმეებს გიწვევთ შეხვედრაზე

21 მაისს, 12:00 საათზე, ქ. დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა, რომლის მიზანია ადგილობრივი მეწარმეების ინფორმირება სსიპ „ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელებულ ბიზნესმხარდაჭერი პროექტებისა და სერვისების შესახებ.

ღონისძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას მეწარ-

მეებისთვის, რომლებსაც სურთ გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა, დაამყარონ ახალი პარტნიორობა და გამოიყენონ სახელმწიფო მხარდაჭერის შესაძლებლობები ბიზნესის გასაგვითარებლად.

შეხვედრის ორგანიზატორია სააგენტო - „ანარმოე საქართველოში“ კახეთის რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია.

მერია სტიქიით დაზარალებულს ეხმარება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული სახლების სახურავების შესაკეთებლად დედოფლისწყაროს მერიამ ტენდერი გამოაცხადა. დოკუმენტების თანახმად, 9 დაზარალებული ოჯახისთვის სახლის გადასახურად საჭირო მასალების შესყიდვა იგეგმება, საამისოდ კი 9 990 ლარია გათვალისწინებული. 5 მაისს ტენდერში შპს „ფოლადის სახლმა“ გაიმარჯვა, რომელმაც შეკვეთის მიზნების ვალდებულება 8 152 ლარად აიღო. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მიმდინარე წლის 31 მარტს მომხდარმა სტიქიამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები ორ სოფელში დააზარალა. მერია ჯამში 9 დაზარალებულ ოჯახს დაეხმარება. ყველაზე მწვავე ვითარება შეიქმნა სოფელ ფიროსმანში, ზარალი მიიღო არბოშკიძე.

მერიაში შეიქმნა ზარალის დამდგენი დროებითი კომისია, რომელშიც 10 წევრია და მერის მოადგილე გელა სამუკაშვილი ხელმძღვანელობს. მათ განიხილეს დაზარალებულთა განცხადებები და ადგილზე შეისწავლეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ძლიერი წვიმისა და ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალი. როგორც კომისია 4 აპრილის აქტში აღნიშნავს, დაზიანდა სოფელ ფიროსმანში მცხოვრები 8 ოჯახის კუთვნილი საცხოვრებლის სახურავი და სოფელ არბოშკიძეში ერთი საცხოვრებელი სახლის სახურავი. კომისიის ცნობით, ჯამში დაზიანებულია 407 კვადრატული მეტრი სახურავი, რომლის აღდგენის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება.

ამჯერად დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან მოხდება სოფელ ფიროსმანში მცხოვრები: ზაურ ჯაიანის, იური ბერიძის, ზურაბ შაინიძის, ბიჭიკო მახარაძის, ნათელა სურმანიძის, გია ხილაძის, ნოდარ ვანაძის და ირაკლი ფუტყარაძის, ხოლო სოფელ არბოშკიძეში მარინა ძანაშვილის სახლების სახურავების აღდგენა. ყველაზე დიდი დაზიანება ფიროსმანში, ირაკლი ფუტყარაძის საცხოვრებელმა სახლმა მიიღო, სადაც 152 კვადრატული მეტრი სახურავი დაზიანდა. უსაფრთხოების ახალი სტანდარტების მიხედვით, შიფრის წარმოება, შესყიდვა და მონტაჟი აკრძალულია, რადგან თანამედროვე მიდგომების მიხედვით საფრთხის შემცველად მიიჩნევა. ამდენად, ამ მასალით გადახურული საცხოვრებლების სახურავების იმავე მასალით აღდგენას მერია ვერ შეძლებს, ამიტომაც ამჯერად მოთუთიებული პროფილირებული თუნუქის გამოყენება დაიგეგმა. „შირაქმა“ დაზარალებული ოჯახების მდგომარეობა ინდივიდუალურად შეისწავლა და ოჯახის წევრებს გაესაუბრა.

სოფელ ფიროსმანში მცხოვრები ნოდარ ვანაძის ახალგაზრდა ოჯახი სოციალურად დაუცველის

სტატუსს ატარებს, მათი ერთადერთი შემოსავალი ყოველთვიური საარსებო შემწეობაა. ოჯახის არცერთი წევრი დასაქმებული არ არის, აქვთ ჯანმრთელობის პრობლემებიც. სტიქიამ მათი ძველი სახლი უკვე მეორედ დააზიანა. შედეგად, წყალი ჩავიდა საცხოვრებელ ოთახებში.

„ისედაც ძველი სახლია, მაგრამ ძალიან გვიჭირს და ამის გამო ხელის შევლებას ვერ ვახერხებთ. ჭერი რამდენიმე წლის წინაც მოხდა ქარმა, მაშინ დაგვეხმარნენ, ნახევრად გადახურეს, მეორე ნახევარი კი ისევ

წელიწადზე მეტია გადაადგილება მიჭირს, მეტწილად ვწევარ. ხერხე-მლის პრობლემა მაქვს, თიქარი, ვერც ექიმთან წავსულვარ. ზოგჯერ ისეთი ძლიერი ტკივილები მაქვს, ვერანაირი გამაყუჩებელი ვერ მიყუჩებს. თურქეთში მკურნალობა მჭირდება, მაგრამ საამისო სახსრები არ გვაქვს. ვისაც გინდა ჰკითხოთ, ყველა დაადასტურებს, რომ გვიჭირს. საკვებითაც ხშირად მეზობლები გვეხმარებიან. ორი შვილი მყავს, სკოლაში დადიან, მათაც რამდენი რამ ჭირდებათ,“ - ამბობს ოჯახის დიასახლისი დალი ქარცივაძე.



ძველი დარჩა. ახლა სწორედ ეს ძველი მხარე დაზიანდა. მაშინვე ვთხოვდით, ბოლომდე შეეცვალებოდა ჭერი, რადგან საიმედო არც ის იყო. თვენახევრის წინ ისეთი ძლიერი ქარი იყო, ჩვენი შიფრები მეზობლის ეზოში გადაყარა... მას შემდეგ წყალი ჩამოდის. ისე დაემთხვა რომ მთელი თვე წვიმს და წვიმის წყალი სულ ჩამოგვდის. მეორე სართულს საცხოვრებლად არ ვიყენებთ, მაგრამ პირველ სართულამდე ჩამოდის, წინაზე ჩემს სანოლთან ჩამოვიდა წყალი. შემდეგ კომისია მოვიდა დედოფლისწყაროდან, შეგვამოწმეს და ზარალი აღწერეს. ველოდებით, რომ ჭერის აღდგენაში დაგვეხმარონ, თორემ საკუთარი სახსრებით ვერაფერს შევძლებთ. მეუღლეც დედისერთაა, მშობლებიც გარდაცვლილი ჰყავს. მეც ქობულეთიდან ვარ ფიროსმანში გათხოვილი, დამხმარე არავინ გვყავს. ჩვენი შემოსავალი მხოლოდ 520 ლარი ყოველთვიური დახმარებაა, მუდმივი სამუშაოც არ გვაქვს, მეუღლე პერიოდულად ფიზიკურად დღიურად თუ იმუშავებს. არც ვენახი გვაქვს, ძროხა გვყავდა და ჯანმრთელობის პრობლემები გვქონდა და გაყიდვა დაგვჭირდა. მე ვერაფერში ვეხმარები ოჯახს,

ნათელა სურმანიძე: „80 წლის პენსიონერი ვარ, თვალზე რამდენიმე ოპერაცია გავიკეთე, მხედველობაც მიჭირს. ამ სახლში 1995 წლიდან ვცხოვრობთ. ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვიდან გადმოსახლდით. ნაცხოვრები სახლი იყო, ისინი ჩაქვში დაბრუნდნენ და ჩვენ შემოვედით. როცა აშენდა და დახურეს ისევ ის ძველი ჭერი იყო, კოჭებიც ბევრგან დამძალი იყო. გასულ წლებში რამდენჯერმე დაგვიზიანა ქარმა, მაგრამ საკუთარი ძალებით აღვადგენდით ხოლმე, არავინ შეგვინუხებია და არაფერი გვითხოვია. ახლა უფრო დიდი დაზიანება მიიღო. რწმუნებულთან მივედით დახმარება ვთხოვეთ და კომისია რომ მოვიდა შეამოწმეს, რამდენიმე ადგილას არის დაზიანებული. სახელდახელოდ ტენტი დავაფარეთ, ავეჯი პირველ სართულზე ჩავიტანეთ და რისი გადარჩენაც შეიძლებოდა, გადავარჩინეთ. შემდეგ ჩემი ბიჭი ავიდა ჭერზე და დაზიანებულ ადგილებზე დროებით ძველი შიფრები დააღაგა. ლურსმნები არც დაურტყამს, ასე გაკეთებას აზრიც არ აქვს, დროებით დააღაგა, რომ წვიმებზე წყალი ისევ ჩამოდის. ველოდებით, რომ ჭერის აღდგენაში მერია

დაგვეხმარება. წლების წინ სოციალურად დაუცველის სტატუსი გვქონდა და დახმარებასაც ვიღებდით, შემდეგ მაღალი ქულები მოგვივიდა და შემწეობა აღარ გვაქვს“.

გია ხილაძე: „ჩემი სახლიც ძველია, 34 წელია აქ ვცხოვრობ და სახურავი არ შეცვლილა. ძლიერი ქარი და წვიმა სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ აქამდე სახურავი არ აუხდია. სახლში მარტო ვცხოვრობ, შვილი სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყავს. იმ დღეს სამხედრო ქარიშხალი ამოვარდა და 20-მდე შიფერი მოხდა. ჭერის ერთი კუთხეა დაზიანებული. სხვა არაფერი დაზიანებულა, ფართში არც წყალი ჩამომსვლია. ტენტი მქონდა და მალევე დავაფარე, ახლაც ასე მაქვს. სოფლის რწმუნებულთან მივედი, დახმარება ვთხოვე, მალე კომისია მოვიდა და ზარალი შეაფასა. მითხრეს, მასალას მოგიტანთ და შენი ძალებით გადახურეთ. მერე დედოფლისწყაროს მერიაშიც ვიყავი წასული, დოკუმენტებზე ხელი მომანერინეს. ველოდებით, რომ მასალა გადმოგვცენ და სამუშაოები დავიწყეთ“.

იური ბერიძე: „ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდა, შიფრები ახდა და დაბლა გადმოყარა. ეზოში ვიყავით და ძლიერ გადავრჩით, რომ ზედ არ დაგვეცა. მეორე სართულზე წყალი დაგუბდა, ყველაფერი დასველდა და ფაქტურად აღარ იცხოვრება. მერე ნატეხი შიფრები ისევ დავაფარეთ, რომ წვიმიანი ამინდები გაგრძელდა და სანამ გავაკეთებთ წყალი კიდევ არ ჩამოვიდეს. მერიას ვთხოვეთ დახმარება, რადგან საკუთარი ფინანსებით გაგვიჭირდებოდა. ოჯახში 5 სული ვართ და მეექვსეს ველოდებით. სოციალური სტატუსი არ გვაქვს, მაგრამ ჩემი შვილი სოციალური დასაქმების პროგრამაშია ჩართული. ამ სახლში 1986 წელს შემოვედით, მაშინ ახლადშენებული იყო და უცხოვრებელი სახლი შეგვხვდა. ხულოდან წამოვედით, იქ 4 ძმა ვიყავით, მინა არ გვქონდა, დარჩენაც სახიფათო იყო და წამოსვლა ვარჩიე. ჩემი ერთი ძმა ყვარელში გადასახლდა, მე დედოფლისწყაროში. გეგმიური განაწილება იყო, ფიროსმანში რომ ჩამოვედი, ჯერ მხოლოდ 20-მდე სახლი იყო აშენებული. დანარჩენი სოფელი მერე აშენდა, ბევრი ეკომიგრანტიც ვერ შეეგუა და უკან გაბრუნდა. ვინც შემოვიჩით, დღემდე აქ ვართ. მე არც წასასვლელი მქონდა სადმე და არც ფული. 25 წლის ასაკში უკვე დაოჯახებული ჩამოვედი, 1 შვილი მყავდა, თუმცა სულ ავადმყოფობდა და 18 წლის ასაკში გარდაამცვალა. მერე კიდევ ერთი შვილი აქ შემეძინა და ახლა მათთან ერთად ვცხოვრობთ. ჭერი არასოდეს შეცვლილა და მოქველესული იყო, ქარმა სამი წლის წინაც დააზიანა, მაშინ მე თვითონ აღვადგინე.“

ილია მარტყოფლიშვილი

გულთბილი შეხვედრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის ახლადრეაბილიტირებულ მუზეუმში სტუმრობდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი ბუგინიშვილი. სტუმრებს მუზეუმში დახვდა მუნიციპალიტეტის ინტელიგენცია.

გაიმართა ღონისძიება, რომელიც 2024 წლის საუკეთესო ადამიანების ნომინაციაში გამოვლენილ ადამიანებს მიეძღვნა. საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ გამოკითხვის შედეგად გასულ წელს საუკეთესო ადამიანებად დასახელდნენ გიორგი კალანდია, გიორგი ბუგინიშვილი, გიორგი ნატროშვილი და გიორგი მავერზაშვილი. შეხვედრა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახე-

ლობის მწიგნობართა ასოციაციის თანავემჯდომარის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივით შედგა. სტუმრებმა დარბაზებში დაათვალიერეს ადგილობრივი მხატვრების, ნოდარ დარქულის, ნიკოლოზ მჭედლიშვილის, ანანო კვინინაშვილის, ზურაბ პაპაშვილისა და გიორგი ხაჩიაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

გიორგი კალანდიამ მოკლედ ისაუბრა მისი მოღვაწეობის შესახებ, მადლობა გადაუხადა მხარეთმცოდნეობის

მუზეუმის თანამშრომლებს, დამსწრე საზოგადოებას გულთბილი დახვედრისთვის და მასპინძლობისთვის.

„აქ ჩამოვედით არა ჯილდოების მისაღებად, არამედ იმისათვის, რომ თქვენთან შეხვედრით პატივისცემა გამოგვეხატა თქვენდამი. მიხარია, რომ აქ ვართ. დიდი ხანია დედოფლისწყაროში არ ვყოფილვარ, მოვდიოდი და გზაზე ვამბობდი, რა ლამაზია ეს მხარე. მაღლობა თქვენ, რომ ასეთ კულტურულ კერებს არ აციებთ და გამიხარდა, რომ ასეთ რეაბილიტირებულ შენობაში შემოვედი და მალე ახალი საგამოფენო სივრცე გექნებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტი ტურისტი გამოჩნდება, მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება. ჩვენს ფონდში,



ხელოვნების სასახლეში დედოფლისწყაროდან ინახება ეროვნული სამოსის ძალიან კარგი კოლექცია. ქიზიყელი ქალებატონების უნიკალური, საუცხოო სამოსი, რომელიც XIX-ე საუკუნეში მწვანე ხავერდისგანაა შექმნილი,“ — აღნიშნავს კალანდია.

„რადგან ჩვენი ოთხივე ნომინანტი გიორგი იყო, ამიტომ გიორგობას დავამთხვიეთ. ბედნიერი ვარ, ძალიან თბილი და ლამაზი საღამო შედგა“ - უთხრა „შირაქს“ შეხვედრის ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ.

გარდა ამისა, გაისხენეს „ეპოქის ადამიანები“, რომლებიც ამ ნომინაციაში უზუცეს ასაკში გამოავლინეს. შეხვედრაზე დედოფლისწყაროდან ეპოქის ადამიანებად დასახელებულ ევლი ყოჩიაშვილისა და აბრამ ხარაშვილის მრავალწლიან ღვაწლზე ისაუბრეს შვილებმა, დიტო ყოჩიაშვილმა და მარინა ხარაშვილმა.

დასასრულს სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ილია მარტყოფლიშვილი

„განათლება მთავარი პრიორიტეტია“

ერასმუსის პროგრამა ევროკავშირის „Lifelong Learning Projects“-ის ნაწილია, რომელიც უნივერსიტეტებს აძლევს მულტინაციონალური თანამშრომლობის საშუალებას. პროგრამა მოქმედებს 1987 წლიდან. მაგალითისთვის, მთელი ევროპიდან, პროგრამაში 2008/2009 სასწავლო წელს 198.523 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, 2009/2010 სასწავლო წელს კი 213,000 სტუდენტმა დაფინანსდა. 2014 წლიდან პროგრამა ფუნქციონირებს განხლებული სახელით „ერასმუს“.

ის მიზნად ისახავს 2020 წლისთვის საზღვარგარეთ სწავლებასთან დაკავშირებულ პროექტებში ხუთი მილიონი ადამიანისთვის დახმარების განეგვას. დაფინანსების პროგრამას სახელი ერასმუს როტერდამელის (1467-1536) პატივსაცემად ეწოდა, რომლის მთავარი ცხოვრებისეული საქმიანობა სხვებისთვის განათლებისა და განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა იყო. სწორედ გამოცდილების დაგროვების მიზნით, სხვებისთვის ამ გამოცდილების გადაცემისა და საკუთარი სასწავლო გარემოს კეთილდღეობისთვის, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე **თამუნა ჩუთლაშვილი** სულ მალე განახორციელებს საგანმანათლებლო ვიზიტებს ლატვიასა და სლოვენიაში, სადაც აქტიურად ჩაერთვება გარემოსდაცვითი საკითხებზე ორიენტირებულ სასწავლო აქტივობებში, შეისწავლის ბუნების დაცვის ინოვაციურ მეთოდებსა და გაიღრმავებს ცოდნას ახალგაზრდა თაობის როლის შესახებ მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში.

– **თამუნა, გაეცანი ჩვენს მკითხველს...**

– მე ვარ თამუნა ჩუთლაშვილი, 15 წლის, აქტიური IX კლასის მოსწავლე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლიდან. უკვე წლებია, ჩართული ვარ სხვადასხვა საგანმანათლებლო და არაფორმალურ აქტივობაში. ჩემი გამოცდილებით თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არაფორმალურ განათლებას უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემი უნარებისა და გამოცდილების ჩამოყალიბებაში. ის გვაძლევს უსაზღვრო შესაძლებლობებს, მათ შორის ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების სახით, რომელთა ერთ-ერთი გამარჯვებულიც ვარ თავად მე. გაცვლითი პროგრამებით დიდი ხანია დავინტერესდი, რადგან იგი პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მსგავსი პროგრამები მოითხოვს გამოცდილებასა და მზადყოფნას სხვადასხვა გამოწვევის დასაძლევად. იქნება ეს ენობრივი ბარიერი, დამოუკიდებლად მოქმედება თუ უცხო გარემოში ადაპტაცია. ეს ყველაფერი კი მხოლოდ გამოცდილებით, საკუთარ თავზე მუშაობით და მუდმივი თვითგანვითარებით მიიღწევა. ბავშვობიდანვე მქონდა მიზანი, გავმდარევიყვი ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მონაწილე, რის გამოც დავიწყე მიზანმიმართული განვითარება. არაფორმალური განათლება და საკუთარ თავზე მუშაობა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი აღმოჩნდა.

– **თამუნა, მოგვიყვი ამ პროგრამის შესახებ. რატომ დაინტერესდი და როგორ მოხვდი „ერასმუსის“-ის პროგრამაში?**

ერასმუსის პროგრამებით ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული, თუმცა, ამ დრომდე ასაკობრივი ზღვარის გამო არ მქონდა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ორი პროგრამა ჩემი პირველი მცდელობის შედეგია. ერასმუსის პროგრამები

გამოირჩევა საგანმანათლებლო პროცესის განსხვავებული მიდგომით. ისინი აერთიანებენ არაფორმალურ განათლებას და რეკრეაციულ აქტივობებს, რაც პროექტის მიმდინარეობის პროცესს ხდის უფრო ეფექტურსა და ნაყოფიერს. მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ფასდაუდებელი გამოცდილება, გაემგზავრონ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, დაუკავშირდნენ თანატოლებს მთელი მსოფლიოდან, გაუზიარონ ერთმანეთის ცოდნა და განვითარონ მნიშვნელოვანი უნარე-



ბი. პროექტი განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს ენის ბარიერის გადალახვასა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, რაც დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია. აქტივობებით დატვირთული გრაფიკი უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით ცოდნის გაღრმავებას, რაც შემდეგ შესაძლებელს ხდის ამ გამოცდილების თემაზე გაზიარებას. პროგრამაში მოხვედრა საჭიროებს რამდენიმე სამოტივაციო წერილის მომზადებას და საკუთარი გამოცდილების დეტალურ ანალიზს, რათა ორგანიზაციას მიენდოს საკმარისი ინფორმაცია მოტივაციისა და ჩართულობის შესახებ. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ ერასმუსის პროგრამებს ახასიათებს მაღალი კონკრეტულობა. გაცვლითი პროგრამების თემატიკა კი უმეტესად ორიენტირებულია მდგრადი განვითარების მიზნებსა და ახალგაზრდების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებზე.

– **როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით უნდა განახორციელო სასწავლო ვიზიტები. ამ საკითხებს შორისაა, უმეტესად გარემოსდაცვითი პრობლემები. რატომ დაინტერესდი ამ საკითხებით?**

გარემოსდაცვითი საკითხები და მწვანე პოლიტიკაზე ორიენტირებული აქტივობები დღევანდელ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა. ისინი მოითხოვს ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობასა და ყურადღებას, რაც რეალურად გამოიხატება გლობალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელებით. პროექტის თემა „ახალგაზრდები მწვანე ევროპისთვის“ (Youth for a Green Europe). როგორც უკვე ვახსენე, ამ მიმართულებით უკვე მაქვს გამოცდილება. მრავალ პროექტში მქონდა შესაძლებლობა უშუალოდ მიმეღო მონაწილეობა როგორც გარემოსდაცვითი პრაქტიკულ აქტივობებში, ასევე ცნობიერების ამაღლების ასპექტში, რომლებიც მიმართული იყო თანატოლების ინფორმირებაზე და მათში მოტივაციის გაჩენაზე. ვფიქრობ, სწორედ ცნობიერების ამაღლებმა ერთ-ერთი უმთავრესი ნაბიჯი ამ მიმართულებით პროგრესის მისაღწევად.

– **გყავდა თუ არა ადამიანი, რომელმაც**

განსაკუთრებული როლი შეასრულა იმაში, რომ ამ პროგრამაში მიგელო მონაწილეობა და ვინ იყო მოტივაციის წყარო?

რა თქმა უნდა, მსგავს პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანების როლსა და წვლილს, რომლებიც მუდმივად გვიხიბებენ განვითარებისა და შრომისკენ. ჩემთვის ასეთი ადამიანი უდაოდ არის ეკა სეფიანოვილი, საუკეთესო მასწავლებელი და განსაკუთრებული ადამიანი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს თითოეულ წარმატებაში. ეკა მასწავლებლის პროფესიული აქტივობები და მიღწევები ჩემი ერთ-ერთი მოტივაცია იყო. მან, რომელსაც ბავშობიდან ვიცნობ, შეძლო ეჩვენებინა რამდენად ღირებულია განათლება. მისგან არა მხოლოდ ინგლისური ენა შევისწავლე, არამედ დიდი გამოცდილებაც მივიღე. მასთან ურთიერთობამ კი გამაცნობიერებინა, რომ განათლება მთავარი პრიორიტეტია და წარმატება დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. ჩემი თითოეული მიღწევა დღეს ეკა მასწავლებლის გვერდით დგომის და მისი დაუღალავი მხარდაჭერის შედეგია.

– **რა გამოცდილებას მოგიტანს ეს სასწავლო ვიზიტები?**

ეს სასწავლო ვიზიტი მომიტანს მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია მრავალ უნარსა და ცოდნის შეძენასთან. პროგრამის ფარგლებში შევძლებ ინგლისური ენის გაუმჯობესებას და ენის ბარიერის გადლახვას. ასევე, მივიღებ ახალ ცოდნას, რომელსაც შემდგომ გავუზიარებ ჩემს თემს და თანატოლებს.

– **რა დატვირთვა აქვს შენთვის ამ პროექტში მონაწილეობას?**

როგორც ცნობილია, შერჩეული ვარ Erasmus-ის ორ პროგრამაში, რომლებიც განხორციელებს ევროპის ორ ქვეყანაში ლატვიასა და სლოვენიაში. თითოეული პროექტი გაგრძელდება ათი დღის განმავლობაში. ჩემი მთავარი მიზანია, აქტიურად ჩავერთო პროექტების ყველა ეტაპში და მაქსიმალურად ნაყოფიერად შევიტანო ჩემი წვლილი.

– **როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის პროგრამები სკოლის მოსწავლეობისთვის და რა უნარჩვევების განვითარებას უწყობს ხელს ის?**

მსგავსი ტიპის პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილებაა, რომელიც დაკავშირებულია მრავალ უნარის შეძენასთან. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები ორიენტირებულია ლიდერობის, დამოუკიდებლობისა და ახალ გარემოში ადაპტაციის უნარების განვითარებაზე, რაც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო კომპეტენციად ითვლება. ეს უნარები თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეთა კეთილდღეობას და მათ აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ საკითხებში.

– **შენი აზრით, რამდენად სრულყოფილად აძლევს დღევანდელი განათლების სისტემა მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა მსგავსი ტიპის პროგრამებზე?**

დღეს თითქმის ყველა სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია სოციალურ ქსელებში. თუ მოსწავლეს აქვს მიზანი და სწორი მიმართულებები განვითარებისათვის, ის თავისუფლად გააკეთებს სწორ არჩევანს. გარდა ამისა, მასწავლებლები საკმაოდ აქტიურად გვიხიბებენ ინფორმაციის საერთაშორისო პროექტებისა და შესაძლებლობების შესახებ, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩვენს ჩართულობას და ინტერესს.

– **რამდენად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება მოსწავლის განვითარებისთვის?**

არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის სრულფასოვან ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სკოლაში მიღებული ცოდნა ფასეული და აუცილებელი მოწოდებებისთვის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ყოველთვის ვერ გვთავაზობს იმ უნარების გაღრმავების შესაძლებლობას, რასაც არაფორმალური განათლება გვთავაზობს. ამ უნარებს მოიცავს: კომუნიკაცია, ინტეგრაცია, დამოუკიდებლობა, ადაპტაცია, ლიდერობა, ენის ბარიერის გადალახვა, საჯარო გამოსვლები და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარდგენა. არაფორმალური განათლება სწორედ ამ მრავალფეროვანი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული და შემოგვთავაზებს ისეთ გამოცდილებას, რომელსაც სკოლა ხშირად ვერ უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, სკოლის როლი მაინც რჩება უმნიშვნელოვანესად. ის გვაძლევს მყარ საფუძველს, რომლის გაღრმავებაც არაფორმალური განათლების გზით ხდება. საბოლოოდ, არაფორმალური განათლება არა მხოლოდ ცოდნის გაფართოებაზე, არამედ პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზეც არის ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სრულფასოვან ჩამოყალიბებას.

– **რას გეგმავენ მომავალში? როგორ გამოიყენებ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მომავალში?**

გეგმავენ, კვლავ მივიღო მონაწილეობა მსგავს პროგრამებში და შევიძინო მეტი გამოცდილება, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩემს პიროვნულ განვითარებაში. დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება კი დამეხმარება, რომ ჩემი წვლილი შევიტანო თემის კეთილდღეობაში და შევძლო მათი გაზიარება სხვა ახალგაზრდებთან.

– **რას ურჩევდი შენს თანატოლებს? როგორია შენი წარმატების ფორმულა?**

„წარმატების ფორმულა“ წარმატების მიღწევის ინდივიდუალური საიდუმლოა. ნებისმიერი ადამიანი ქმნის ამ ფორმულას, რომელიც მათთვის წარმატების, მიღწევებისა და სიკეთის მომტანია. ჩემი რჩევა თანატოლებისთვის კი განათლების მნიშვნელობის გააზრება, მისი პრიორიტეტად დაყენება და საკუთარი, ინდივიდუალური „წარმატების ფორმულის“ შექმნა იქნება.

პ.ს. „ევროპის სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან ერთად მუშაობა ხელს შეუწყობს თამუნას ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებასა და გუნდური თანამშრომლობის უნარების ამაღლებას. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს ქართული კულტურისა და ეროვნული ტრადიციების პრეზენტაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

თამუნა სასწავლო წლის დასრულებისთანავე გაემგზავრება და სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებს თანატოლებსა და სასკოლო საზოგადოებას.“ გვითხულობთ პირველი საჯარო სკოლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს თამუნას ამ პროგრამაში მონაწილეობას, წარმატებებსა და წინსვლას უსურვებს მომავალ საქმიანობაში. სწორედ ასეთი ახალგაზრდები ქმნიან ძლიერი საქართველოს ევროპულ მომავალს.

✍️ **შუშუნა ყანაშვილი**

ლუკა ყაჭაშვილმა სასწავლო გრანტი მოიპოვა

დედოფლისწყაროს მეფე ვახტანგ გორგასალის სკოლის მოსწავლემ ლუკა ყაჭაშვილმა, წარმატებით მიიღო მონაწილეობა „Career Hunter Camp 2025“-ში, რომელიც ალტე უნივერსიტეტის, აბიტურიენტების კლუბისა და ბაქსეულის სკოლის ორგანიზებით გაიმართა.

ლუკა 600 აპლიკანტიდან შერჩეულ 50 გამორჩეულ მონაწილეს შორის მოხვდა და ბანაკში სამდღიანი ინტენსიური გამოცდილება მიიღო. მან მონაწილეობა მიიღო პროფესიული განვითარების ტრენინგებში, უნივერსიტეტის დეკანებთან და დარგის ექსპერტებთან შეხვედრებში, გუნდური ამოცანების გადაჭრაში და დასასრულს, საკუთარი მომავალი პროფესიის შესახებ პრეზენტაცია მოამზადა.

ლუკას გუნდი (კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით) გამარჯვებულად დასახელდა და პროექტის ხარისხისა და კრეატიულობისთვის თითოეულ მონაწილეს ალტე უნივერსიტეტმა 1000 ლარიანი სასწავლო გრანტი გადასცა!

„უფლოცავთ ლუკას ამ წარმატებას და ვამაყობ, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლე ასე ღირსეულად წარსდგა მომავალ პროფესიონალებთან ერთად!“ - აღნიშნავენ სკოლაში.



ლუკა ყაჭაშვილი

მოსწავლეების წარმატებული გამოცდები

3 მაისს საქართველოს ეროვნული არქივის პროექტში „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ ფიროსმანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ანა ბოლქვაძემ, სალომე ბერიძემ, ნიკა ბერიძემ, საბა სურმანიძემ, გიორგი სურმანიძემ და გიორგი ნილოსანმა წარმატებით იასპარეზეს. ინტელექტუალური თამაში თბილისში სასტუმრო „ბილტმორის“ დარბაზში გაიმართა.

„პროექტი 2015 წელს დაიწყო და სკოლები ქვეყნის მასშტაბით მონაწილეობდნენ. ფიროსმანის სკოლა ამ პროექტში მონაწილეობა მეორედ მიიღო. ჩვენმა გუნდმა 8 ქულა აიღო, თუმცა გაჩერებას არ აპირებენ. გეგმავენ უკეთესად მოემზადონ და კვლავ მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტში. მოსწავლეებს მისი ჩატარების სტილი და ფორმატი ძალიან მოსწონთ. სკოლის

მოსწავლეებს ინტელექტუალურ პროექტში საჭირო თემატიკაზე, ლოგიკურ აზროვნებაზე, ერთობლივ მსჯელობასა და გუნდურად თამაშში ვამზადებდი,“ — აღნიშნავს პედაგოგი ლილა ტარიელაძე.





ქართული რადიო 100 წლისაა



ბარბარე ბენაშვილი - რადიოქუმრნალისტი საზოგადოებრივი მაუწყებლიდან

რადიომაუწყებლობა ამიერკავკასიაში პირველად საქართველომ დაიწყო. „საქართველოს რადიო“ ეთერში 1925 წლის 23 მაისს გავიდა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი რადიო ევროპაში. ნავთლულში 120 მეტრიანი სამხედრო რადიოანდის აღმართვის შემდეგ, რომელიც 300 კილომეტრის რადიუსით მოქმედებდა, კულტურულად დამონტაჟებული რადიოსადგურიდან პირველად გაჟღერდა ფართო აუდიტორიისთვის რადიო წამყვანის-დიქტორის ხმა და ასე დაიწყო საქართველოში რადიოს ისტორიის ათვლა. ეს ისტორია უკვე 100 წელს ითვლის. საზოგადოებრივ რადიოში, პირველ არხზე თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა დედოფლისწყაროელმა ბარბარე ბენაშვილმა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ სწორედ მას ესტუმრა და რადიოში გატარებულ წლებზე ესაუბრა:

ბარბარე ბენაშვილი: „რადიო-ჟურნალისტი ვარ 1978 წლიდან. ვერ ვიჯერებ, იმდენი დრო გასულა?! თითქოს გუშინ დაიწყო ეს გზა, იმ შენობაში, რომელიც მალე აღარ იქნება ჩვენი სახლი. რადიოს ასი წლისთავი 23 მაისს უნდა გვეზეიმა. თუმცა, სექტემბრამდე გადაიდო... მოგეხსენებათ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაცალა ისტორიული შენობა და ახალ შენობებში გადავიდა. ტელევიზიები უკვე იქიდან მაუწყებლობს, თუმცა რადიოს გადასვლა ჯერ ვერ მოესწრო და პროცესი შეფერხდა. რადიო ისევ გადაბარების პროცესშია და ალბათ ცოტა ხანს კიდევ დავრჩებით ძველ შენობაში... მართლა გაგვიხარდა, რომ ცოტს ხანს კიდევ ვუყურებთ ამ მრავალსმანხველ შენობას. არჩილ ქურდიანის პროექტით აშენებული შესანიშნავ შენობას, როგორც ამბობენ ავარიულს. ძალიან დიდი ტკივილია მისი დანგრევა! არ მეგონა თუ ასე მეტკინებოდა იქაურობა... სამოქალაქო ომის დროს ტყვიით დაცხრილული ტელევიზიის კედლები... ესაა ჩემი სახლი, რომელშიც 46 წელი გავატარე და თითქმის პარკეტიც კი ვიცი რომ დენია და როგორი.. ბევრი ემოცია მაკავშირებს ამ შენობასთან.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ვიცხოვრებდი რადიოში, იმ ხაზის რადიოში, რომელიც ბავშვობაში, დილის 6 საათიდან მღვიძებდა. გაკვეთილების სწავლის დროს ჩართული იყო და ვუსმენდი დიდ მსახიობებსა და დიდ რეჟისორებს. ბავშვობა კი დაიწყო დედოფლისწყაროში, მაშინ ნითელწყარო ერქვა, ახლაც იმ სახელით ვიხსენიებ ხშირად. ეს იყო 60-იანი წლები, მშვიდობიანი და მშვიდი წლები, შესანიშნავი პედაგოგებით, კარგი, ხარისხიანი წიგნებით. სკოლა იყო ნათელი, თავის მინუს-პლიუსებით, მაგრამ ლამაზი ეზოთი, ბალით, სადაც ბოტანიკის გაკვეთილებზე ჩავდიოდით და მცენარეებს ვუვლიდით. ხშირად მახსენდება სკოლის დირექტორი ნასყიდა ალადაშვილი, მსოფლიოს ისტორიას გვასწავლიდა. ჩემთვის მისი გაკვეთილები აღმოჩენა იყო.. მიხვდით, ისტორია მთელი ცხოვრება დამაინტერესებდა. მახსოვს სკოლის შესანიშნავი ბიბლიოთეკა. რომ გითხრათ ფრანკოსანი ვიყავი მეთქი, მოვიტყუებდი. დღემდე მეშინია ციფრების და მათემატიკის მასწავლებლის... მიყვარდა ბიბლიოთეკა და საერთოდ წიგნის კითხვა. მიყვარდა ლიტერატურა, ისტორია, ბიოლოგია და ქიმია. ეს სიყვარული და ცოდნა გამომადგა უკვე გადაცემის თემატიკის არჩევასა და მომზადებაში.

ჩვეულებრივი ცხოვრებით ვიცხოვრე, მიყვარდა, მძულდა, ვჩხუბობდი, ვილიმოდით. მყავდა შესანიშნავი სკოლის სამეგობრო, რომლებთანაც დღემდე არ გამიწყვეტია ურთიერთობა და იმ ჩემს მიტოვებულ, გაძარცვულ სახლში რომ ველარ მივდივარ, ღამის გასათევად მათთან ვრჩები. მენატრება იქაურობა, მაგრამ ვერ ვრჩები... მესიზნებოდა მხოლოდ! ბედნიერი ვიყავი, იმიტომ, რომ იქ მოშობლები იყვნენ, პაპა და ბებო...

თითქმის მთელი ბავშვობა სოფელ ჯაფარიძეში, მათთან ბავშვობაში. სოფლის გოლოში „ციცას წყალი“ მინატრებდა, ბავშვობაში საჭმუშაპალად რომ ჩავდიოდით უზნის გომომ-ბიჭვებთან ერთად. იმ იყრიდნენ თავს ქაღალბი და ირჩიოდა სოფლის ამბები. ვანო პაპას „ციცას“ ეძახდნენ, მთელ ოჯახს კი ციცაბოს. ვანო პაპას გაკეთებული იყო ის წყაროც, მართკუთხა აუზი ჰქონდა, საძოვრიდან მომავალი საქონელიც სვამდა. იქ რეცხავდნენ ნივთებს, მატყლს, კარაქსაც... ცივი, ანკარა წყალი მოდიოდა. იქვე, გორაზე გავატარე ბავშვობა, საოცარია იქიდან დანახული სოფელი. ბებია არ მიშვებდა და ჩუმად ვიპარებოდი. ეზოში კავკასიური ძაღლი „ჯაბო“ გვყავდა, როცა პაპა და ბებიის ფუტკართან იყვნენ გასულელები, მაშინ ვიპარებოდი, მაგრამ „ჯაბო“ რომ დამინახავდა, ყვეფას იწყებდა და ბაღში ხვდებოდნენ რომ ვიპარებოდი. ბებო ძალიან მორწმუნე იყო, პაპას კი ვაშლოვანიდან ამოჰქონდა საკმელი. საღებ რეზინსაც იქიდან მოიტანდა და ბავშვებს გვაძლევდა. იმდენი ხილი გვქონდა და მაინც მივყვებოდი მეზობლის ტყუპ ძმებს დრო ბებოს მსხლის მოსაპარად. ბებოს აივნებიდან დანახული რიბირაბო მახსენდება, შავი მთიდან წამოსული მზის პირველი სხივი... ბოლო ხანს სატელევიზიო გადაცემა დედოფლისწყაროზე ჩვენმა ჯგუფმა გააკეთა, თამაზ ტყემალაძის პროექტი იყო, „ლიხს იქეთ და ლიხს აქეთ“ სამი დღე ვცდილობდით



მზის ამოსვლის ის კადრი გადაგვეღო. ვერ მოვახერხეთ, განუმეორებელი სანახავია, ალიონი ქიზიყიდან, როცა პირველი სხივი საქართველოს ეცემა... **ქალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ახარა, ჩემი ბოლო საიმიჰაყინო ნახსაყუდელიც იმ იქნება...**

— როგორ გააკეთეთ პროფესიული არჩევანი და რატომ?

— პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე ვარ, არაბისტი. ეს ნამდვილად ჩემი არჩევანი იყო. მახსოვს ლიმდაში ჩვენთან ერთად ისვენებდნენ დემკოვიჩები როსტოვიდან. ოჯახის მამა იყო არაბისტი, რომელმაც საღამოს, როცა ერთად ვიყავით, დაწერა არაბული ასოები... მომეწონა და სკოლა რომ დავამთავრე, არჩევანი გაკეთებული მქონდა - არაბული ენა უნდა მესწავლა. მეორე წელს ჩავაბარე და დღემდე ვამყობ, რომ შესანიშნავი პროფესორ-მასწავლებლები მყავდა. თუმცა, არაბული არ ვისწავლე, ერთი შესანიშნავი არაბისტი პროფესორის ძალიან ცუდმა ფრაზამ გადამანყევინა, რომ არაბულად ხმა არ ამოიშლი. თუმცა, ახლა, ქუჩაში ბევრი არაბი მხედება და მესამის მათი საუბარი... გამოლაპარაკებასც რომ ვახერხებ, მიკვირს... სამაგიეროდ არაბეთის და არამარტო არაბეთის, დიდი აღმოსავლეთის ისტორია და ლიტერატურა ვისწავლე... და კიდევ ბევრი რამ, რაც გამომადგა როგორც ჟურნალისტს.

— რადიოში როგორ აღმოჩნდით?

— რადიოში შემთხვევით მოვხვდი, დიდი ისტორიაა. ქალბატონმა ზინკო დიაკონიძემ მიმიყვანა, რომელიც ახალგაზრდობის რედაქციის მთავარი

რედაქტორის მოადგილე იყო. პირველი ინტერვიუ გავაკეთე უსინათლოთა ინტერნატზე. რეპორტაჟის მოსამზადებლად ათკილოიანი რეპორტიორით წავედი, რომლის მოხმარება არც კი მასწავლეს და კინალამ ჩავვარდი. მივიტანე მასალა, მოეწონათ ხმა, ცოცხლობაც და ასე დაიწყო... ესაა ძალიან საინტერესო გზა, ძალიან ჩემი, მაღალი დონის რადიოჟურნალისტებთან, რეჟისორებთან ერთად. ყველა საუკეთესო იყო, საუკეთესო მოგონებებით. იმ კედლებში გავიცანი უამრავი დიდი მეცნიერი, სპორტსმენი, მხატვარი, მწერალი, მსახიობი... იმდენი მოგონება დამრჩა. მახსოვს, საახალწლო გადაცემისთვის რამაზ ჩხიკვაძე უნდა ჩამენერა, საღამოს სახლში ავედი. ხილიანის ქუჩაზე მისი მეუღლე, ქალბატონი ნატაშა დამხვდა, იცოდა რომ უნდა მივსულიყავი, რადგან მასთან ჩავაწყვე საქმე. რამაზს სპექტაკლი „რიჩარდი“ ჰქონდა და გვიან დაბრუნდა. ყვავილებით და დაქანცული სახით შემოვიდა. მეუღლემ ჩემი თავი წარუდგინა, ისიც უთხრა ვისი ახლობელი ვიყავი... ცოტა შეყვინდა, მერე კი რიჩარდის მონოლოგით უარი მიმისრა! სამაგიეროდ დამაპატიჟა ჩაიზი... სწორედ ჩაიზი მოყვა ბავრ საინტარესოს, რომელიც არ ჩამანერინა ფირზე. არ ჩათვალა საჭიროდ. მახსოვს ოთარ ჭილაძის სტუმრობა სტუდიაში, მაშინ ისე ეშინოდა მიკროფონის, ხელი ჩამიკადა მაჯაზე და კითხვის დროს ვხვდებოდა რომ წერეილუბოდა... მეც ვწერეილუბოდა, რადგან ოთარ ჭილაძე იყო რესპოდენტი. ნიგინი დაიწერა იმდენია გასასხენებელი, ჩემი ბავრის ინტერვიუ ინახება საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში. პერიკო ან ჯ ა უ ა რ ი ძ ე ს - თან უპანასკნელი ინტერვიუ მე გავაპატიე. მისამდე დღეს კი ნაპი-და! ხმაში ფონდშია, სამაგიეროდ მაქვს წერილები და წიგნები მათი წარწერით, სურათები და რაც მთავარია, რადიოში მე გავიცანი მთელი საქართველო.

მახსოვს ხალხმრავალი, მდიდარი და განათებული სოფლები. მერე ყველაფერი შეიცვალა... ჩაქრა სინათლე სოფლებში, დაიცალა და გაჩუმდა.. იყო 9 აპრილი, ეროვნული მოძრაობა და მომიტინგეები ტელევიზიასთან, ჯერ გარეთ, მერე დერეფნებში. დაბლოკილები ხართ და მომიტინგეები ოთახებში შემოვიდნენ, კარის ამოქოლვა გადაწყვიტეს და დააპირეს სეიფის ოთახიდან გატანა. შევეწინააღმდეგე... არ ელოდნენ და გაჩერდნენ. დასხდნენ დერეფანში... ოთახში მაცივარი გვედგა და მაცივარში საზამთრო მქონდა. გავედი და ვეკითხები, ბიჭებო ჯაყვა ხომ არ გაქტე? ნამოდგენი ფეხზე... რა ხდება, რისთვის გაჩერდებით. შემოდიოთ საზამთროზე გეპატიუებით, როდემდე უნდა ისხდეთ, უსაქმოდ, თან დამეულები მეთქი... მაშინ ერთი ახალგაზრდა დავუბრუნე რეალობას.

მერე იყო სამარცხვინო სამოქალაქო ომი, რევოლუციები, ომები... პირდაპირი ეთერები დაიწყო, მეც მქონდა კვირაში ექვსი საავტორო აგრარული თემატიკის გადაცემა და 6 საათი პირდაპირი ეთერი „მაცნეში“. ეს პროგრამა შემოგვთავაზა რადიოს მაშინდელმა დირექტორმა, შესანიშნავმა ჟურნალისტმა რამინ ჭელიძემ. იყო დემოკრატიის პირველი ნაბიჯები... თავისუფლების პირველი განცდა!.. მწარედ მახსოვს პირდაპირი ჩართვები აფხაზეთის ომიდან... ძალიან მწარედ!.. მაშინვე მქონდა გარემოსდაცვითი გადაცემა „ეკოლოგია“, ეს თემა ჩემი არჩევანი იყო, პირველი და ერადერთი ამ თემატიკის ირგვლივ მთელს მედია

სივრცეში და დღემდე მიმყავს ეს გადაცემა. პირველმა მივიღე ეკოჟურნალისტის სტატუსიც WWF - გარემოსდაცვის საერთაშორისო ფონდისგან! ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც ბევრი ეროვნული პარკი გააკეთა და ვაშლოვანში ჩამოიყვანა ქურციკები. როცა ამ თემას აკეთებ, ბუნებრივია გხვდება წინააღმდეგობა, თანაც მომ-



ლოლი სახელმწიფო სტრუქტურების დროს, მეც ბევრჯერ დამიპირეს რადიოდან გაძევება, მაგრამ არ გამომაძევეს. კარგი ხელმძღვანელობა გვყავდა, ყველანაირად გვიცავდა. რადიო სრულიად განსხვავებული სივრცეა, უშუალო, თავშესაფარივითაა, შენთანაა, გამშვიდებს... უშუალოდ დროს მთელი საქართველო ჩვენ გვისმინება. ყიდულობდნენ ბატარაებს და გვისმინდნენ... ვცდილობდით გაგვემხმარებინა, რაღაც სასიამოვნო იქნებოდა იმდენი გვემთხვეოდა. გამოგვიღოდა კიდეც... დღეს ცოტა სხვა გზა აირჩია მედია.

— საქართველოს რადიო 100 წლიან ისტორიას ითვლის, რას ნიშნავს თქვენთვის ამ რადიოში მუშაობა?

— ეს რადიო, ამაჟამად საზოგადოებრივის სტატუსს რომ ატარებს, უკვე საუკუნეს ითვლის... მე რადიოში დამხვდა ქალბატონი თინათინ ელბაქიძე - ადამიანი, რომელმაც პირველი სიტყვა თქვა იმ მრგვალ რუპორადიოში, რომელიც სოფლის ცენტრებში ეკიდა. მერე გაიყვანეს და თითქმის ყველა სახლში იყო ხაზის რადიო. ხმით სცნობდნენ ყველა ღიქტორს, ჟურნალისტს, იცოდნენ და ელოდნენ გადაცემებს, პარჯიშობდნენ კიდეც... გზავნიდნენ წერილებს. მახსოვს, ახალგაზრდობის რადაციაში გვადგა ერთი დიდი წერილი - ბიტი სავსე კარადა და გადაცემას იმ წერილების მიხედვით ვამზადებდით. მეც გავაკეთე რამდენიმე კრიტიკული გადაცემა, მახსოვს მაშინდელ სამხრეთ ოსეთში, სოფელ დადიანეთიდან გამოგვიგზავნეს წერილი, უგზოობას უჩიოდნენ და პირველად მაშინ მოვიარე ქსანთ-ლიახვის ხეობა... საოცარი კუთხეა! სრულიად გამორჩეული თავის კლიმატით, ნიადაგით, ეკოლოგიით... ეს დასკვნა 2001 წელს გააკეთეს გერმანული ორგანიზაციის წევრებმა... მტკივა და მენატრება, ახლა საოცარი სანახავი იქნება. იმედია, კიდევ ვნახავ იქაურობასაც და ავაღზარასაც აფხაზეთში... ამის დიდი იმედი მაქვს!

— კონკრეტულად რა გადაცემებს ამზადებდით?

— ბევრი თემატიკის გადაცემას ვაკეთებდი გარემოსდაცვითი გადაცემის პარალელურად, სიუჟეტებსაც რადიოჟურნალისტებისთვის. რედაქტორის და ავტორის პოზიციიდან ვმუშაობდი, მაგრამ გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულება იყო პირველი და მთავარი. დღემდე ასეა. ორი ჩემი საავტორო და რეიტინგული გადაცემა „ეკოპეტრი“ და „ფერმერის საათი“ გავართიანეთ და დღეს „ეკოაგრომეტრი“-ს ფორმატით გადის ყოველ ოთხშაბათს პირდაპირ ეთერში, როგორც გადაცემა და პოდკასტი.

წიგნი, როგორც განათლების წყარო

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/
სამშობლო, სამეფო ტახტი და მოსკოვში დასახლებულიყო. სწორედ აქ შეუდგა იგი ქართული შრიფტის ჩამოსხმისთვის ზრუნვას. შვედი დიპლომატის დახმარებით მან ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში შეუკვთა. როგორც ჩანს, მეფის შეკვეთა შეასრულეს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ამ შრიფტებმა არჩილამდე ვერ მოაღწია. მეფის ოცნება მხოლოდ მე-18 საუკუნის 10-იან წლებში ასრულდა, როდესაც მისმა ძმისწულმა, ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ, თბილისში გამართა სტამბა და დაბეჭდა



ჯერ სახარება და ფსალმუნები, 1712 წელს კი ქართველებისთვის სახარების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მთლიანობაში თბილისის სტამბიდან სულ ოცამდე სახელწოდების წიგნი გამოვიდა. მხატვრული გაფორმებით ისინი არ ჩამორჩებიან ევროპაში იმ დროს დაბეჭდილ წიგნებს. 1724 წელს ოსმალების შემოსევას თბილისის აოხრება და სტამბის გაუქმება მოჰყვა, მაგრამ ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში

გადასახლებულმა მესტამბეებმა, რედაქტორებმა, მხატვრებმა საგამომცემლო საქმიანობა მოსკოვში გააგრძელეს. ვახტანგ VI ოცნებობდა ბიბლიის მთლიანი ტექსტის გამოცემაზე, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. ბიბლიის სრული ტექსტი 1743 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, ვახტანგ VI-ის ვაჟის, ბაქარის, თაოსნობით, ამიტომ მას დღემდე ბაქარის ბიბლიას უწოდებენ.

✍ **ინგა შიოლაშვილი**

„გაზაფხულია საქართველოში“

„საქართველოს გაზაფხულს კოხტა კაბა აცვია. საქართველო სიუვარულით და სიკეთით სავსეა“ - კოხტა, სიუვარულით, სიკეთით სავსე, დიდებული, მორთული და მოკაშმული, გულსათუთი, თვალღამაზი, ყვავილებით დარაზმული-ასეთი გაზაფხული მოვიდა საქართველოში. იქ, სადაც წენარად, ჩუმად ფარფალებს, ფრთხაბტულა ზებლები...

ნისძიება „გაზაფხულია საქართველოში“ მოიყვანა. საღამოზე ლიტერატურული კომპოზიციით წარსდგნენ ახალგაზრდული თეატრ „ბერიკონის“ მსახიობები, (ხელმძღვანელი ცარო მარტიამილი), ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „გიორგელე-ბი“, (ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი) ვოკალური ანსამბლი „იაგუნდი“, (ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი), სტუდია „ვარსკვლავები“, (ხელმძღვანელი ნათია ცინცაძე), ვოკალურ ანსამბლ „ედელ-ვაისის“ სამი თაობა (ხელმძღვანელი



ნინო ნიკვაშვილი), ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ხალხურ საკრავიერთა ანსამბლი „გორგასალი“ (ხელმძღვანელი გოდო აბულაშვილი). აღსანიშნავია, რომ თითოეული ანსამბლის მიერ წარმოდგენილი სასცენო ნომრები და კომპოზიციები, საკმაოდ დახვეწილი და პროფესიონალურ დონეზე მომზადებული გახლდათ, რაც მაყურებლის მხრიდან დამსხურებულ, შესაბამის ოვაციასაც იმსახურებდა. ლონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, პრესისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა. საღამო მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა. (ა). ი. პ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის

ორგანიზებით გაიმართა. ლონისძიებას უძღვებოდა ცარო მარტიამილი. პ.ს „სა-ქართველო, - ესე იგი სამყოფელი ქართველების, მზის ქართულად ამოსვლის და ცისკრის ლოცვით გათენების. სა-ქართველო, - წინაპრების მკერდზე მდგარი ალაგვა, უფლისაგან დალოცვილი ენით მოლაპარაკეა...“ **სწორედ, ამ უფლისგან დალოცვილ ქვეყანაში მობრძანებულ გაზაფხულს გილოცავთ. გილოცავთ, კოხტა, სიუვარულით, სიკეთით სავსე, დიდებული, მორთული და მოკაშმული, გულსათუთი, თვალღამაზი, ყვავილებით დარაზმული გაზაფხულის მოსვლას.**

✍ **ჟუჟუნა ყანაშვილი**



ქართული ჩადიო 100 წლისაა

/მეხუთე გვერდიდან/
ჩემი პირველი მოწოდება „გააკეთეთ არჩევანი მხოლოდ ქართულ პროდუქტზე“ ნამდვილად ჩემი იყო, ჩემი გადაცემის და პირველი თემატური რეკლამებიც მე გაგაკეთე რეჟისორ ნინო ჩაჩანიძესთან ერთად! — **ზოგადად, რა მიზეზით თქვენ საქართველოს რადიოს და რა მოგცათ მან თქვენ?** — ჩემი თავი ვიპოვე... რადიო ეს განსხვავებული ჟურნალისტიკაა. შენ უნდა თქვა ის, რაც ტელევიზორზე ისედაც ჩანს. ამას სჭირდება, განათლება, მდიდარი ლექსიკური მარაგი და ალლო, ჟურნალისტიკის ინტუიცია. პირდაპირ ეთერში განსაკუთრებით რთულია, რომ არ დაკარგო მსმენელი. ყველაზე დიდი საოცრებაა და ალბათ საამაყოა, რომ ხმით გცნობენ ქუჩაში, სადაც შენთვის უცნობ გარემოში. მასხოვს სატელევიზიო პროექტი გვქონდა, თამაზ ტყემალაძის პროექტი იყო, ფილმების ციკლი „ლიხს იქეთ და ლიხს აქეთ“, სენაკში ვიყავით გადაღებაზე,

ერთ სოფელში დიასახლისი მთელი ეს დრო დაკვირვებით მიყურებდა. გადაღების მერე მკითხა, „თქვენ ბარბარე ბენაშვილი ხართ, რადომი რომ გისმენთ, ხმა მეცნო, მაგრამ ჯულის რატომ გეცხიანო?“... არ ჩამომართვათ თავის ქებაში და ხშირად მქონდა და მაქვს ასეთი შემთხვევები. ეს უკვე ბიოგრაფიაა, რადიობიოგრაფია! — **რას იტყვით დღევანდელ ჟურნალისტიკაზე, რა მდგომარეობაშია ქართული მედია და რას ურჩევდით ახალგაზრდებს?** — დღეს ბევრი კარგი ჟურნალისტიკა მედიასივრცეში, მათ შორის ჩემი სტუდენტებიც. ბევრი კარგი სტუდენტი გამოვზარდეთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მაგრამ... რაღაც მექანიზმი ჩართული. ვერ ვხედავ მათ, არადა კარგად სწავლობდნენ... სად არიან არ ვიცი. საერთოდ, იმ ბევრზე წინ სხვა კატეგორიის ჟურნალისტი ჩანს. რატომღაც აგრესიული გახდა მიმართულება თუ პროფესია, არ ვიცი. ალბათ დრომ მოიტანა ესეც, მსოფლიო მოთხოვნა - პრესამ, ანუ ინფორმაციამ უნდა

მართოს საზოგადოება და მართავს. არ გვეტყობა? აგრესიულია მედია - აგრესიულია საზოგადოება. სხვათაშორის რადიოჟურნალისტიკა უფრო ნაკლებად ვურჩევდი იმას, რასაც ვასწავლი სტუდენტებს - თქვენ უნდა ჩამოაყალიბოთ საზოგადოება, რომელშიც თქვენ იცხოვრებთ და ბევრი იფიქრეთ ამაზე, სანამ სათქმელს იტყვით, ან დანერო! იკითხეთ ბევრი მშობლიური ლიტერატურა, რათა გქონდეთ ლექსიკური მარაგი და არ დაამახინჯოთ მშობლიური ენა. არ გახდეთ დაციენის ობიექტი. იყავით ობიექტურები, რადგან სასწოროზე დევს თქვენი ქვეყნის მომავალი. — **რა შეიცვალა ბოლო ათწლეულში ქართულ სოფლის მეურნეობაში, თქვენი დაკვირვებით რა მდგომარეობაა ამ დარგში?** — მიმიე კითხვა. სრულიად შეიცვალა და ერთი სისტემიდან მეორეში გადავიდა, ამას დიდი ქვეყნები ვერ უძლებდნენ. ვერც ჩვენ გავუძელით - ბევრი დარგი, მიმართულება და სპეციალობა გაქრა. სულ სხვა მოთხოვნებსა და სტანდარტებს აყენებს

მსოფლიო ბაზარი... ბოლო ათწლეულში ოდნავ ამოისუნთქა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ. გაჩნდა პროგრამები, პროექტები უცხოური თუ შიდა დაფინანსებით, რომელიც წელს, მაგრამ ამუშავდა. თუმცა, სპეციალისტების დეფიციტის გამო ბევრი დარგი ფერხდება. გარდა ამისა, აღარაა ის სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობდნენ თუნდაც დარაიონებაზე და იცავდნენ მცენარეებს დაავადებებისგან... დღეს პრობლემებია, მაგრამ მაინც გაჩნდნენ დიდი ფერმერები მეცხოველეობაშიც, ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებშიც. ამუშავდა ენდემური სახეობების მოძიებისა და გადარჩენის პროგრამები. ეს ძალიან ცოტაა, ვერ სრულდება ყველაფერი დიდი და სასურველი შედეგით და იცით რატომ? დაიცალა სოფლები, დაბერდა და ხალხისგან დაიცალა! ესაა სამწუხარო მოცემულობა. მაგრამ ხომ გახსოვთ, მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები „ნოსტალგია ქართველების დაავადებაა“... ამიტომაც მგონია, ბევრი დაუბრუნდება სოფელს, იმიტომ რომ ნოსტალგია ქართველების დაავადებაა... ✍ **ილია მარტყოფიშვილი**

სარედაქციო ფოსტა

გაზეთ „შპრაქის“ წინა ნომრებში მეორე მსოფლიო ომის გმირების ბე- ვრი საინტერესო თავგადასავალი გა- მოქვეყნდა. მეც მაქვს შემორჩენილი რამდენიმე არბოშკიელი მეგრძოლის- გან ჩანერილი მოგონებები და სურ- ვილი გამიჩნდა რედაქციას მივანოღო.

იორამ მაჩაბლიშვილი შეიღებს გვიყვებოდა ერთ ეპიზოდს მისი საბრ- ძოლო თავგადასავლებიდან: როგორ და- ადგენენ თავზე გერმანელები. არ შეშინ- და, მამაცობა გამოამჟღავნა და წამებში ელვისებური სისწრაფით განაიარაღა სამი გერმანელი. სამივე ტყვედ აიყვანა და თავის საბრძოლო ნაწილს ჩააბარა. ამისთვის მან ჯილდოები და მადლობა მიიღო. გასაოცარი ისაა, რომ ომი მძვინ- ვარებდა და მიხა პაპა შვილის სანახავად ცხელ წერტილში ჩასულა. იმ დროს მეო- რე შვილი ტყვედ იყო ჩავარდნილი და მხოლოდ მამაჩემი მოინახულა. ზამთარი იყო, ამიტომ მამას შინელი ჩაუცმევია და ისე გამოუგზავნია უკან.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როცა არემარე ცეცხლისგან დულდა, მამაჩემს ნამსხვრევი მოხვედრია. ჩვენივე თანასო- ფელეს **ამირან ალადაშვილს** ფრონ- ტის ხაზიდან გამოუყვანია და დაუპურე- ბია კიდევ. ორივე ცოცხალი დაუბრუნდა

არბოშკის. ამირანი შემდეგში უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა და როცა შე- მხედებოდა, სულ მახსენებდა, მამაშენს დავეხმარეო... ამირანს „ნაჩხატას ბიჭს“ ეძახდნენ, ყოველი გაზაფხულის მოსვლა უხაროდა, რადგან ფრონტის მეგობრებს შეხვდებოდა. ომიდან მრავალი მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, თუმცა წარმატებები არც აქ აკლდა, შრომით სა- ქმიანობაში გამორჩეული იყო.



უკან „ნაჩხატას ბიჭი“ ამირან ალადაშვილი

მამაჩემის ძმა **თურმან მაჩაბლიშ- ვილი** სანამ ტყვედ ჩავარდებოდა ერთ-ერთი აფეთქების დროს ფრონტზე ყუმბარამ ცოცხლად დამარხა... თანა- მეგრძოლებმა არ მიატოვეს. ტყვეების წვიმაში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მინიდან ამოიყვანეს და სიცო- ცხლე შეუნარჩუნეს. თავის ქვეყანას და სოფელ არბოშკს ვალმოხდილი დაუ-

ბრუნდა. უმძიმდა ამ ამბების გახსენება. **გიმინა სანიაშვილი**, იგივე ბი- ძინა მასწავლებელი ფრონტიდან დაინ- ვალიდებული დაბრუნდა, ცალი ფეხი იქ დაკარგა. ხის ფეხი ჰქონდა, თუმცა, სკოლაში მოღვაწეობა გააგრძელა. რუ- სულ ენას გვასწავლიდა. ილი მოსამ- ვილის ლექსი უყვარდა და ჭირსა თუ ლხინში სუფრაზე ხშირად კითხულობდა.

გიორგი სავიანაშვილს „ფუტას ბიჭს“ ეძახდნენ, შეუ- პოვარი იყო. იხსენებდა, რომ როცა ფეხებში დაჭრილი მე- ბრძოლი, ჩვენი თანამემა- მულე, არბოშკიელი გიორგი ალადაშვილი მინაზე ხოხვით გამოჰყავდა, თავადაც ხელში დაიჭრა. ამის მოუხედავად მე- გობრისთვის არ უღალატია, არ მიუტოვებია და თავადაც დაჭრილმა გიორგიც ბოლომ- დე სამშვიდობოს გამოიყვანა და გადააარჩინა.

ილი ჯაფარიშვილი, ომის ვეტე- რანი გვიამბობდა: „1942 წლის მაისში ტამანის ნახევარკუნძულთან მიგვიყვა- ნეს. გერმანიამ თვითმფრინავებით ჭა- დრაკისებური მოძრაობა დაიწყო. მთელი დღე ყუმბარები წვიმასავით მოდიოდა. დიდძალი ხალხი დაიხოცა, ცხედრების გორები დადგა. ამ კუნძულიდან გერმა- ნელებმა საქონელი წაიყვანეს, მაღაზიე- ბი გაძარცვეს. ყველაფერი დააცარიე-

ლეს, დახოცეს მოხუცები, ბავშვები. ამ დროს გერმანელს მეც უნდა მოვეკალი, მაგრამ ერთი ძველანაგელი ბიჭი იყო, გოგია ლევდაშვილი. კატერს ხალხის გა- დასაყვანად მიუყენეს ბაქანი, რომელსაც სიმამრისთვის ჰქონდა ხის ბოძი, რითაც დიდხანს ვიცურეთ მე და გოგიამ და რო- გორც იქნა გავედით წინ. ჩვენთან ერ- თად კიდევ რვა კაცი იყო. რაღაცნაირად მოვახერხეთ და კატერში გადავძვერით. სწორედ ამ კატერმა გავიყვანა აზოვის ზღვიდან. გავედით ტამანის ნახევარკუნძულზე, 7—8 კი- ლომეტრის მანძილზე. სამი დღე და ღამე ფეხით ვიარეთ, ბალახით ვიკვებებოდით. გა- ვედით ქალაქ ტემბრუკში, იქ უკვე შედგა ნაწილები, მოგვცეს საჭმელი და სული მოვითქვით. ასე გადავრჩით მე და ძველანაგელი გოგია“.



იორამი

შაპრო ნათელაქას მეტსახელად „დალაქ შაქროს“ ეძახდნენ. ყოველ დღე მედლებით მკერდდამშვენე- ბული გამოდიოდა არბოშკის ბირჟაზე. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მადლობა. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა მედლების ყოველდღიურად ტარების აუ- ცილებლობას. ამბობდა, „იმითგამ გად- მოგვცეს, რომ სულ თან ვატაროთ“.

თამარ მაჩაბლიშვილი, არბოშკი.

ფრენბურთელების წარმატება



დედოფლისწყაროს ფრენ- ბურთის გუნდი „ისოსაიდი“ უმაღლეს ლიგაში წელსაც წარმატებით გამოვიდა. გა- სულ კვირას დასრულდა სა- ქართველოს ფრენბურთის ეროვნული ჩემპიონატი, სა- დაც საბოლოო მონაცემებით დედოფლისწყარო მეშვიდე ადგილზე გავიდა. ფრენბურ- თელების განმარტებით, ამ შედეგით ისინი 2025-26 წლის სეზონზეც კვლავ უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

ნიკოლოზ ჯინაშვილი: „ჩემპიონატი სამ ეტაპს მოი- ცავდა ორ ჯგუფურს და ერთ ფლეი ოფს. ჯგუფურ ეტაპ- ზე რვავე გუნდი ერთმანეთს ვეთამაშებით და ლიდერების სიაში ტოპ ოთხეულის დაკა- ვებებს ვცდილობთ. ჩვენ სა- მსუხაროდ პირველივე წელს ვერ შევძელით ნახევარფი- ნალში გასვლა, მაგრამ შემ-

დეგ სეზონში უფრო ძლიერე- ბი დავრბუნდებით. ჯგუფურ ეტაპში ქუთაისის და ყვარელის დამარცხება შე- ვძელით და საბოლოოდ მეე- ქესე-მეშვიდე ადგილისთვის თამაშში ქუთაისი დავამარ- ცხეთ, ამით გარანტირებუ- ლად შევინარჩუნეთ ადგილი უმაღლეს ლიგაში. ვფიქრობ, პირველი წლისთვის ძალიან კარგი შედეგი დავდეთ და სათანადო კონკურენცია გა- ვუწინეთ ყველა გუნდს. წინ ქვიშის ფრენბურთის ჩემპიო- ნატი გველის, ხოლო შემდეგ 2025-2026 სეზონი დაიწყება სადაც ახალი შემართებით ვიბრძოლებთ ჩემპიონობის- თვის. სხვათაშორის, გასულ წელს მიღწეული წარმატებე- ბის გამო ქვიშის ფრენბურთ- ში წელსაც უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ. ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია, ზაფხულის თვეებში გაიმართება“.

რას ნიშნავს მამაკაცისთვის ქალი?

როგორც ფსიქოლოგები იუწყებიან, მამაკაცისთვის ქალი ერთდროულად ყველაფერსაც ნიშნავს და თან – არაფერს. ოციოდე წლის წინ მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა გამო- კითხვამ ცხადყო, რომ მამაკაცს შეუძლია, იცხოვროს უსიყვარუ- ლოდ და სიყვარულითაც. ანუ შეუძლია, ქალისთვის ყველაფერი დათმოს და ამავდროულად , არ გაუჭირდება ერთი ხელის მოსმით ურთიერთობის დანგრევა.

მოუხედავად ამისა, არავინ უარყოფს, რომ ქალის სიყვა- რულს კაცებისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს – ვერც დიდი ფული და ვერც ძალაუფლება ამ გრძნობას წინ ვერ აღუდგე- ბა. თუმცა, თვით ფსიქოლოგე-

ბისტისაც გაუგებარია, რატომ იქცევიან მამაკაცები ისე, რომ თითქმის სიყვარული და სერიო- ზული ურთიერთობა არ აინტე- რესებდეთ. საუბრობენ ცოტას, გრძნობებს შედარებით ნაკლებად ამჟღავნებენ და ქალის კითხვა- ზე: „გიყვარებ?“ ყველა ქვეყნის მამაკაცი თითქმის იდენტურად, გაოცებული პასუხობს: „წუთუ უთქმელად ვერ ხვდები, შენდა- მი როგორი გრძნობა მაქვს?“ ეს ტიპური მამაკაციური რეაქციაა. საქმე ის არის, რომ სიყვარული ქალსა და მამაკაცში სხვადასხვა- ნაირად ვლინდება.

თუ მამაკაცს გვერდით ყოფ- ნა გასურთ:

1) – აგრძნობინეთ, რომ ის თქვენზე ჭკვიანი და დამოუკიდე-

ბელია. 2) – სანამ საკუთარ მიღწევე- ბზე მოუყვებოდეთ, მისი წარმა- ტების შესახებ მოისმინეთ და გა- მოთქვით შექება მისი მიღწევების მიმართ.

3) – სასურველია, ხშირად გაითვალისწინოთ, რომ უპირა- ტესობის შეგრძნება მამაკაცისთ- ვის როგორც ბიოლოგიურად, ისე ფსიქოლოგიურად არის დამახა- სიათებული:

ზემოთ ჩამოთვლილი სამი ძირითადი მომენტის გათვა- ლისწინება კი უზრუნველყოფს იმას, რომ მისთვის მეტად სა- სარგებლო, საჭირო და ხშირად შეუცვლელიც კი გახდებით.

პასარიონ გიმოშვილი, ფსიქოლოგი.

საფეხბურთო ფესტივალი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის ახალ სტადიონზე, „დინამო თბილისის აკადემიის“ ორგანიზებით და დედოფლისწყაროს მუნიციპა- ლიტეტის მხარდაჭერით ჭაბუკ ფეხბურთელთა ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობა დედოფლისწყაროს, ყვარლის, სიღნაღისა და ახმე- ტის საფეხბურთო სკოლების გუნდებმა მიიღეს.

როგორც მწვრთნელმა **ვასილ მაძლარაშვილმა** გაზეთ „შპრაქს“ განუცხადა, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, თამაშების ანგარიშს ყურა- დლება არ მიაქცევს და შესაბამისად, ფესტივალს დამარცხებული და გამარჯვებული არ ჰყოლია.

სპორტული ღონისძიება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიასა და საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლო- ბის მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა. რო-

გორც აკადემიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, პირ- ველადი შედეგები შეაფასეს.

ლევან გვანცელაძე: (აკადემიის დირექტო- რი): „ბოლო ხანს ქართული ფეხბურთი პროგრესს განიცდის. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრე- ბის წარმატებულმა გამოვლამ ქართული ფეხ- ბურთის მიმართ ინტერესი გაზარდა. შედეგად, ფეხბურთი უფრო პოპულარული გახდა. დიდი ინტერესი წამოვიდა ბავშვებისგანაც. გვინდა, რომ რეგიონებშიც ჰქონდეთ ბავშვებს ფეხბურთ- ზე წვდომა, ამიტომაც შესაძლებლობა მივეცით. 28 მუნიციპალიტეტში მოქმედებს ეს პროექტი, რომელიც გულისხმობს მომავალი ფეხბურთელე- ბის აღზრდას დინამოს მეთოდოლოგიით. წარმა- ტებული პროექტი გამოვიდა. ეს ფესტივალი კი იყო მიღებული შედეგების შეფასება. მომავალში მოხდება გამორჩეული მოთამაშეების შერჩევა და



წაყვანა უფრო მაღალ საფეხურებზე. მანამდე კი გვექნება რეგიონუ- ლი გუნდების დაკომპლექტების შესაძლებლობა. კონკურსის გარეშე მიღებულ მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, უნარები გამოავლინონ და ნაკრებში მოხვდნენ“.

ფესტივალის დასასრულს თითოეულ გუნდს დინამო თბილისის აკადემიისგან საჩუქრად სპორტული სავარჯიშო ინვენტარი გადაეცა. სპორტული შეჯიბრის გარდა ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სა- ციკვო ნომრებიც.

დედოფლისწყაროში დინამო აკადემიის მეთოდით ადგილობრი- ვი მოზარდების მომზადება უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. პროექტში ამჟამად 170-მდე მოსწავლეა ჩართული. სწავლის საფასუ- რის ნახევარს დედოფლისწყაროს მერია ფარავს.

ილია მარტყოფიშვილი

პირთი კადრი წარსულიდან
1987 წელი, სოფელი სამთაწყარო შენდება, აჭარელი ძმებისთვის ახალ დასახლებებში ბინების მშენებლობა მთავრდება. გაზეთ „შპრაქის“ ექსკლუზიური ფოტო. დაცულია რედაქციაში.

„ნეოლაბი“ — გიწვევთ!

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი უპიკლიათ გაიხარა კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

დერმატოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

ინფექციონისტი, გასტროენტეროლოგი, გინეკოლოგი, ექოსკოპისტი – 30-31 მაისი;
კონსულტაცია ფასიანია. ჩანერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან 596 39 20 00.

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.



**მაია
ბატაშვილი**
ინფექციონისტი



**თამარ
მაგალაშვილი**
გასტროენტეროლოგი



**დავით
სხირტლაძე**
გინეკოლოგი



**სოფო
ალაშვილი**
ექიმი - ხადიოლოგი

ზამო ქედში თუშური დოღი გაიმართა

სოფელ ზემო ქედში, სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე 10 მაისს ცხენოსანთა ტრადიციული დოღი გაიმართა. როგორც ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნიკოლოზ ბენიანიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დოღი ცხვრის მთაში წასვლის დროს იმართება ხოლმე. ამჯერად დოღი თუშური წესით გაიმართა და მასში 13 ცხენოსანი მონაწილეობდა, გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც.

ცერემონია ტრადიციულად დაღუპული მეცხვარეების ლევან გვრიტიშვილისა და კონსტანტინე ჩხერაულის ხსოვნას მიეძღვნა. ლევანი ხანდოს ხეობიდან იყო, კონსტანტინე ალვანიდან, ორივე მთაში ტრადიციულად გარდაიცვალა.

გამოვლინდნენ გამარჯვებული მხედრებიც: პირველ ადგილზე გავიდა **საბა ბუშაძე**; მეორე ადგილი — **გიგა განირიძე**, ხოლო მესამე ადგილი — **მუსაფ აჩივაძე**. პირველი ადგილის მფლობელს ორგანიზატორებისგან საჩუქრად მოზვერი და წითელი ალაში გადაეცა, მეორე ადგილის მფლობელს 300 ლარი, მესამე ადგილზე გასულს კი მედალი, ხევისურული წინდები და ჩითები (ქალამნის მსგავსი, მატყლის ძაფით ნაქსოვი წინდა) გადასცეს, დანარჩენებს კი სიგელები.



„ესაა თუშური ტრადიცია, რომელიც მიცვალებულების სულის საპატივსაცემოდ იმართება. თუშურ დატირებას დოღის დაწყებამდე მართავენ, შემდეგ პატარა ტაბლა იშლება. პური, მარილი და ღვინო, ანთებენ სანთელს... შემდგომ კი დოღი იწყება. მხედრებს შორის იყვანენ ზემო ქედის მფლობელს, ასევე ალვანელი, პანკისელი და თუშის სტუმრები. თუ სწორად მახსოვს, 8 წლის წინ არხილოსკალოში ერეკლე ჭინჭარაულის ხსოვნის საპატივსაცემოდ გამართული დოღის შემდეგ დედოფლისწყაროში აღარ ჩატარებულა,“ - აღნიშნა გიგო ოლაძემ.

იყო (5-იდან 35-მდე). მათ საგანგებოდ უვლიდნენ და კვებავდნენ; დოღის დროს ცხენებს ჭუა-ფაფარი დაწნული და ფერადი ძაფებით შეკრული ჰქონდათ, თავ-კისერზე მიძვლილით გამართული საფაფრე და საშუალებე ეკეთათ. უნაგირით მხოლოდ „სულის ცხენი“ (მიცვალებულისათვის დაკურთხებული) იყო შეკაზმული. დოღის ანუ „ცხენობოლების“ დღეს ტაბლის დაღოცვის შემდეგ რიგში დანაწილი მხედრები „სულის ცხენის“ წინამძღოლობით სამჯერ შემოუვლიდნენ ფარდაზე გაშლილ მიცვალებულის „ტალავართ“ (სამოსელს) და გაემართებოდნენ მიცვალებულის ნათესავების სოფლებისაკენ. „ჭირის პატრონის“ ნათესავი მხედრებს ტაბლას უდგამდა.



„ბავშვები ნამოვიყვანენ და ნამოვდით, ადგილზე ძალიან ბევრი ბავშვი დამხვდა და გამიხარდა. ეს იმის დასტურია, რომ მომავალ თაობას აინტერესებს მისი ქვეყნის კუთხური ტრადიციები და მშობლებიც ხელს უწყობენ ამაში. სწორედ ასე შევინარჩუნებთ და მომავალ თაობას გადავცემთ ადათ-წესებს. პატარებმა თუ საკუთარი თვალთ არ ნახეს ასეთი დღეობები, სხვაგვარად ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა ყველა ის ტრადიცია, რომელსაც ჩვენი წინაპრები მისდევდნენ და ასე სათუთად ეპყრობოდნენ. ვისურვებდით, ხშირად იმართებოდეს ასეთი აქტივობები,“ - ამბობენ ქედელები.

საქართველოში დოღი მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად გამართული ცხენ-მხედართა შეჯიბრება, ძირითადად გავრცელებული იყო ხევისურეთში, ფშავეში, თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხევში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვაგან. ხევისურეთში დოღი იმართებოდა გვიან გაზაფხულსა და ზაფხულში; მონაწილე ცხენების რიცხვი კენტ

ბოლო ტაბლიდან მხედრები „ჭირის პატრონის“ სოფელში ბრუნდებოდნენ. აქედან იწყებოდა ნამდვილი შეჯიბრება. თუ შორი გზა ჰქონდათ გამოსავლელი, მათ „მეგობრები“ - სხვა მხედრები ცვლიდნენ. გამარჯვებულ მხედრებს „ჭირის პატრონის“ სოფელში ჯილდოს (საქონელი, იარაღი, ტანსაცმელი და სხვა) ურიგებდნენ. ჩვენს ქვეყანას დოღის დიდი ტრადიცია ჰქონდა. წარმატებული და ცნობილი ქართველი მხედრები იყვნენ კონსტანტინე (კონია) ავალიშვილი და კონსტანტინე ყოჩიაშვილი. ავალიშვილმა 1912 წელს გაიმარჯვა ლივერპულის სტიპლ-ჩეიზში, ხოლო ყოჩიაშვილი საერთაშორისო კლასის მხედრად აღიარეს, მოგებული აქვს არაერთი საერთაშორისო პრიზი. ასევე გაიმარჯვა დიდ საკავშირო დერბოში 1952—54 წლებში. ყოჩიაშვილის აღზრდილი იყო ევროპის პრიზის სამგზის მფლობელი მარნეულის ნასიბ-ნიკოლოზ ნასიბოვი.

ილია მარტყოფლიშვილი



იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამხარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი 33 000\$. ასევე, კორპუსის 4 ოთახიანი ბინა სასტუმრო „ავტოგრაფის“ წინ, ფასი 28 500\$. ტელ: 595 32 47 61

ამინდი

ორშაბათი 19.05
დღე
22°

სამშაბათი 20.05
ღამე
10°

ოთხშაბათი 21.05
დღე
21°

ხუთშაბათი 22.05
ღამე
9°

პარასკევი 23.05
დღე
21°

შაბათი 24.05
ღამე
13°

კვირა 25.05
დღე
24°

ღამე
13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**

რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები);

ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი);

ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქენაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიჭყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,

ტელ. 0 356 22 22-85;

„შირაქის“ ელ.ფოსტა: gazetishiraki@gmail.com

598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია

დედოფლისწყაროს

საქმართლოს მერ,

№ 6014-468.
გაზეთის გამომწერა
წელიწადში – 20 ლარი